საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლი, ოშკის ტაძრის მშენებელი

გრიგოლი. ოშკის ტაძრის მშენებელი. გამოსახულება რელიეფებიან ბოძზე.

გრიგოლი, ოშკის ტაძრის მშენებელი, მოღვაწეობდა X საუკუნეში. მოხსენიებულია ოშკის ტაძრის დიდ სამშენებლო წარწერაში: „მე გრიგოლ ღირსმყო ღმერთმან მსახურებისა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი“. ამავე წარწერაში მოხსენიებულ ისტ. პირთა მიხედვით (ადარნასე III კურაპალატის ძენი – ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით III დიდი კურაპალატი) წარწერა X ს. 60-იანი წლებით თარიღდება. მუხლმოდრეკილი, ხელებაპყრობილი **გ**. გამოსახულია ტაძრის სამხრ. გალერეაში რელიეფებიან ბოძზე, ვედრების კომპოზიციის ქვეშ. ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ **გ**. შესაძლოა გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგიერთი ნაწარმოების მთარგმნელი გრიგოლ ოშკელი იყოს. ოშკის ტაძარი შუა საუკ. საქართვ. ერთ-ერთი უდიდესი საკულტო ნაგებობაა და მხატვრული და ისტ. თვალსაზრისით ღირსეული ადგილი უკავია ქართ. ხელოვნ. ისტორიაში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; ჯ ო ბ ა ძ ე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.

ვ. ბერიძე